**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**ქ. თბილისი** **2020 წლის 2 ოქტომბერი**

**დისციპლინური საქმე №214/18**
**მოსამართლე -- -- მიმართ**
**დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე**

-- -- 2018 წლის 20 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^5$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და $75^6$ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2018 წლის 27 დეკემბრის №214/18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:**

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლე -- -- მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატის - -- -- თანამშრომელი და დაქალი იყო, რის გამოც უფლება არ ჰქონდა განეხილა აღნიშნული საქმე და არსებობდა საქმეზე აცილების საფუძველი.

**2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:**

2.1. -- -- და -- -- სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

-- -- და -- -- დაზუსტებული სარჩელი წარადგინეს სასამართლოში -- -- და -- -- მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

2015 წლის 28 სექტემბერს შეგებებული სარჩელი წარადგინა სასამართლოში -- --, მოპასუხეების -- --, -- -- და -- -- მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს 2017 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით -- --, -- -- და -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; -- -- შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა. 2017 წლის 15 სექტემბერს სააპელაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში -- -- და -- --.

2.2. -- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით აპელანტებს ხარვეზის შესავსებად განესაზღვრათ 10 დღის ვადა. 2018 წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; --, -- და -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა; -- -- სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. -- --, -- --, -- -- საკასაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში.

2.3. 2018 წლის 27 ივლისის განჩინებით კასატორებს დაუდგინდათ ხარვეზი და განესაზღვრათ ვადა მის შესავსებად. 2018 წლის 3 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი -- სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დარჩა განუხილველად.

2.4. დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურში გამოიკითხა -- -- და -- -- წარმომადგენელი -- --. წარმომადგენელი -- -- მიცემულ განმარტებაში უარყოფს მოსამართლე -- -- მეგობრული ურთიერთობის არსებობის ფაქტს.

**3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:**

-- -- 2018 წლის 20 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

**4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება - „ქმედება, რომელიც არღვევს მიუკერძოებლობის პრინციპს, კერძოდ, მოსამართლის მიერ საქმის აცილებაზე/თვითაცილებაზე უარის თქმა, როცა არსებობს საქმის აცილების კანონით გათვალისწინებული აშკარა საფუძველი.“

სამოსამართლო ეთიკის წესების მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლე ინსტიტუციონალურ და ინდივიდუალურ დონეზე უნდა განამტკიცებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.

ბანგალორის პრინციპების მეორე მუხლის მიხედვით მიუკერძოებლობა არის მნიშვნელოვანი სასამართლო უფლებამოსილების ჯეროვნად განსახორციელებლად; ის ვრცელდება არა მხოლოდ გადაწყვეტილებაზე, არამედ პროცესზეც რომლის შედეგად გადაწყვეტილება მიიღება. ბანგალორის პრინციპების 2.1 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა განახორციელოს მისი სამოსამართლო ვალდებულებანი ფავორიტიზმის, მიკერძოების ან წინასწარი განწყობის გარეშე; ამავე პრინციპების 2.5. პუნქტის შესაბამისად, მოსამართლემ უნდა აიცილოს საქმე ისეთ შემთხვევებში, როდესაც მას არ შესწევს უნარი საქმე განიხილოს მიუკერძოებლად ან როდესაც გონიერ დამკვირვებელს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მოსამართლეს არ შესწევს საქმის მიუკერძოებლად განხილვის უნარი.

საქმის დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვაში იგულისხმება არა მხოლოდ მისი დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად განხილვა, არამედ აღქმა იმისა (საზოგადოების, განსაკუთრებით მხარეთა მხრიდან), რომ საქმე სასამართლომ განიხილა დამოუკიდებლად და მიუკერძოებლად.

მოსამართლეთა საყოველთაო ქარტიის მე-5 მუხლის თანახმად, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მოსამართლე უნდა იყოს მიუკერძოებელი და ეს უნდა იყოს გამოხატული. მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის ფორმას – აღქმას, უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება,

ვინაიდან, ამ დროს სასწორზე დევს ის ნდობა, რომელსაც სასამართლოები ნერგავენ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მოსამართლის აცილების ინსტიტუტი ემსახურება, ერთის მხრივ, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპის განმტკიცებას და, მეორეს მხრივ, სწორედ სასამართლოს სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის მოპოვებასა და შენარჩუნებას. მოსამართლის დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირების უმთავრეს პრინციპს და შესაბამისად, მოსამართლის უზენაეს ვალდებულებას.

აღსანიშნავია, რომ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ მოსამართლის მიუკერძოებლობა განმარტებულია, როგორც „მოსამართლის მიერ წინასწარ შექმნილი აზრის არ ქონა“. მოსამართლე საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, გონიერი დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. შესაბამისად, ვინაიდან მართლმსაჯულების სისტემის მიმართ საზოგადოების ნდობის განმტკიცება წარმოადგენს მართლმსაჯულების ლეგიტიმურობის გარანტიას, ნებისმიერი წინაღობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ამ რწმენას უნდა იქნეს გამორიცხული და ნებისმიერი მოსამართლე, რომელთან მიმართებითაც ვერ იქნება მიუკერძოებლობის აღქმა უზრუნველყოფილი, აცილებულ უნდა იქნეს საქმის განხილვისაგან. საქმეზე Morice v. France სასამართლომ აქცენტი გააკეთა ობიექტურობის ტესტზე (Micallef v. Malta, §95) და განმარტა, რომ არ არსებობს მკაფიო გამიჯვნა სუბიექტურ და ობიექტურ მიუკერძოებლობას შორის, ვინაიდან მოსამართლის ქცევამ შეიძლება არა მხოლოდ გამოიწვიოს ობიექტური უნდობლობა მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით გარე დამკვირვებლის თვალში (ობიექტური ტესტი), არამედ შეიძლება შეეხოს მისი შინაგანი რწმენის საკითხს (სუბიექტურობის ტესტი) (იხ. კიპრიანუ §119). ნებისმიერი მოსამართლე, რომლის მიმართ არსებობს ლეგიტიმური მიზეზი ვივარაუდოთ, რომ ის არ არის სრულიად მიუკერძოებელი, უნდა ჩამოსცილდეს საქმეს (Castilo Algari v. Spain, §45; Micallef v. Malta, §98).

მნიშვნელოვანია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე და 32-ე მუხლები არეგულირებს მოსამართლის აცილებისა და თვითაცილების საკითხებს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 31-ე მუხლის თანახმად, მოსამართლემ არ შეიძლება განიხილოს საქმე ან მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, თუ ის: ა) ამ საქმეში თვითონ წარმოადგენს მხარეს, ან მას ამა თუ იმ მხარესთან საერთო უფლებები ან ვალდებულებები აკავშირებს; ბ) ამ საქმის ადრინდელ განხილვაში მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სასამართლო სხდომის მდივნად; გ) მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია; დ) პირადად, პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია საქმის შედეგით, ან თუ არის სხვა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვს იწვევს მის მიუკერძოებლობაში; ე) ამ საქმეში მონაწილეობდა მედიატორად.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, ასევე, დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას საქმესთან დაკავშირებით გამოკითხული პირის მითითებით, არ დადასტურდა საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტი - მოსამართლესა და მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელს შორის ახლო მეგობრობის თაობაზე.

ამდენად, მხოლოდ ნაცნობობა მოსამართლესა და წარმომადგენელს შორის არ წარმოადგენს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მოსამართლის აცილების საფუძველს, რაც შესაბამისად არ ქმნის მოსამართლე -- -- მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის შესაძლებლობას და მოსამართლის ქმედება ვერ ჩაითვლება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ დისციპლინურ გადაცდომად.

**5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{12}$ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის $75^{1}$ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2020 წლის 2 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და $75^{12}$ მუხლის მეორე პუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №214/18 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

**გიორგი მიქაუტაძე**

**საქართველოს იუსტიციის**
**უმაღლესი საბჭოს მდივანი**